



1075/4-2/22 2 09022022

1075/4-2/22

09-02-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

უპირველეს ყოვლისა, მინდა მოდლობა გადაგიხადოთ მიმდინარე წლის 22 იანვრის N722 წერილით მოწოდებული ვრცელი ინფორმაციისთვის, რომელიც შეეხებოდა მსჯავრდებულთა კვების, სატელეფონო საუბრის, სატელევიზიო არხებთან წვდომისა და სახელოვნებო საქმიანობის ხელმისაწვდომობის საკითხებს. ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია პირადად თქვენი და თქვენი უწყების თანამშრომლების ძალისხმევა კომიტეტთან ნაყოფიერი თანამშრომლობის კუთხით, რომელიც ემსახურება ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით კი, პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირების უფლებების ეფექტიან დაცვას.

ჩვენი 21 დეკემბრის N12425/4-2/21 მომართვის პასუხად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, რიგ საკითხებთან დაკავშირებით გამოიკვეთა დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროება. ასევე, ცალკეულ კითხვებზე მიღებული პასუხების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, სასურველია მოხდეს მათი დაზუსტება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სპეციალიზებულ (სტანდარტული მენიუსგან განსხვავებული) კვების საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, იგულისხმება თუ არა თქვენს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში მსჯავრდებულის უფლება მოითხოვოს ასეთი საკვები და გათვალისწინებულია თუ არა პენიტენციური სამსახურის რეგულაციებით მსგავს სიტუაციაში მოქმედების წესი? აქვე, გიგზავნით კომიტეტში შემოსულ წერილს, რომლითაც მსჯავრდებულები ითხოვენ სპეციალიზებული საკვების მიწოდებას.
- 2) სატელევიზიო არხებთან წვდომის საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ, დამატებით გვაცნობოთ, გათვალისწინებულია თუ არა პენიტენციური სამსახურის რეგულაციებით არსებულ არხებზე წვდომის გადასინჯვის შესაძლებლობა და რა გარემოებებზეა აღნიშნული დამოკიდებული? როგორ არის დარეგულირებული ახლად შემოსახლებული

მსჯავრდებულის მიერ მისი ინტერესის სფეროში შემავალი არხის ყურების მოთხოვნის საკითხი და რამდენად ხშირია ამ სახის მოთხოვნები მსჯავრდებულების მხრიდან? აქვე, გიგზავნით კომიტეტში შემოსულ წერილს, რომლითაც მსჯავრდებულები ითხოვენ ისლამურ სატელევიზიო არხებზე წვდომას.

- 3) სატელეფონო აპარატით სარგებლობასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრების რაოდენობისა და ამ დაწესებულებებში ხელმისაწვდომი სატელეფონო აპარატების რაოდენობის შესახებ. აქვე, გთხოვთ, გვაცნობოთ დროის რა მონაკვეთში აქვთ პატიმრებს სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლება.
- 4) სახელოვნებო საქმიანობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, გთხოვთ, დამატებით გვაცნობოთ, მიმდინარეობს თუ არა პენიტენციური სამსახურის მხრიდან მსჯავრდებულთა საქმიანობის ინტერესის სფეროების კვლევა და რა შემხვედრი ნაბიჯები იდგმება მათი მხრიდან გამოკვეთილი ინტერესის დასაკმაყოფილებლად. ასევე, გთხოვთ, დაგვიზუსტოთ რამდენს შეადგენს სახელოვნებო საქმიანობით დაკავებულ მსჯავრდებულთა ხვედრითი წილი პატიმართა საერთო რაოდენობიდან და როგორია ამ საკითხით დაინტერესებულ პირთა განფენილობა გენდერულ ჭრილში.

მოთხოვნილ ინფორმაციასთან, ისევე როგორც ყველა მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით, სამუშაო ფორმატში დამატებითი მსჯელობის საჭიროების შემთხვევაში, გიდასტურებთ ჩვენი მხრიდან თანამშრომლობის სრულ მზადყოფნას და მონდომებას.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

მ. სარჯველაძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010133159427622

04 / მარტი / 2022 წ.

№2686

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი 2022 წლის 09 თებერვლის № 1075/4-2/22 მომართვის პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ინფორმაცია მსჯავრდებულის კვებასთან, სატელეფონო საუბართან, სატელევიზიო არხებთან წვდომასა და სახელოვნებო საქმიანობასთან დაკავშირებით, დანართის სახით გიგზავნით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



რატი ბრეგაძე